ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბრძოლა სახელისუფლებო ორგანოების ჩამოყალიბებისათვის აჭარაში 1921 წელს (მეჯლისები)

აჭარის მეჯლისების ისტორია, მათი მოღვაწეობის არე, პროგრამები, მიუხედავად ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურისა, ჯერ კიდევ ბოლომდე შესწავლილი არ არის. აჭარის პირველი მეჯლისი (პარლამენტი) მისი შექმნისთანავე (1919 წლის 31 აგვისტო) უცხოეთის ინტერვენციის მძიმე წლებში მთლიანად იზიარებს მანამდე არსებულ მუსლიმან ქართველთა ორგანიზაციის „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის“ (1918 წლის 15 მაისი) საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლის პროგრამას. ცნობილია, რომ მასთან ერთად სამუსლიმანო საქართველოში სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას და მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძოდა საქართველოს ერთიანობისთვის, მისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის.

მეჯლისი, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკულად უყურებდა სოციალ-დემოკრატების (როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების) პოლიტიკას, არ იყო საზოგადოების ერთი რომელიმე კლასის ინტერესების გამომხატველი, ყველაზე მაღლა აყენებდა ზოგადასაკაცობრიო ღირებულებებს, აქტიურად იბრძოდა დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობისათვის, ნებისმიერი კლასისა და პარტიის დიქტატურის, ნებისმიერი ძალადობის წინააღმდეგ. საქართველოსა და მისი შემადგენელი ნაწილის მომავალი წარმოედგინა, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული პარლამენტარული რესპუბლიკა. მეჯლისი გამოდიოდა საქართველოში არსებული ერებისა და ეროვნებების, სხვადასხვა რელიგიების თანასწორუფლებიანობისათვის. მეჯლისის წევრები, მისი თავმჯდომარე მემედ აბაშიძე არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ ისინი რწმენით მუსლიმანები არიან და ამას მათთვის ხელი არ შეუშლია ყოფილიყვნენ ქართველი ერის ღირსეული შვილები. ასე მტკიცედ ედგა სათავეში მეჯლისი მუსლიმან ქართველთა ბრძოლას ინტერვენტების წინააღმდეგ. მიაღწია კიდეც საწადელს. 1920 წლის 7 ივლისს აჭარა და მთლიანად სამუს-

ლიმანო საქართველო კვლავ დაუბრუნდა ისტორიული სამშობლოს. ის, რომ ამ მოვლენის მთავარ ძალად აღიარებული იყო მეჯლისი, იმაშიც გამოიხატება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის ჯარის ნაწილებს, რომლებსაც სასტიკად ებრძოდნენ ბოლშე-ვიკები და მათი მომხრეები, რათა ანტანტას საოკუპაციო ჯარების წასვლის შემდეგ არ შემოეშვათ ისინი აჭარაში, ბათუმთან ახლოს, ბარცხანაში ხვდებიან ერთმანეთს ინგლისის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალი კუკ-კოლისი და მეჯლისის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე, რომელმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ მეჯლისის მთავარი მიზანი განხორციელებულიაო.

მეჯლისი გამოდის არამარტო ეროვნულ-განმანთავისუფლებე-ლი ბრძოლის მედროშედ, არამედ დემოკრატიული წყობილების მომ-ხრედაც და, რა თქმა უნდა, საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ [1, 113]. ბარცხანაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯა-რის ნაწილებთან შეხვედრის დროს წარმოთქმლ მისასალმებელ სიტ-ყვაში მემედ აბაშიძემ მოუწოდა ბილშევიზმის წინააღმდეგ საბ-რძოლველად. მეჯლისის პოზიცია ბოლშევიკებისა და ბილშევიზმი-სადმი ნათლადაა გამოხატული მეჯლისის ერთ-ერთი აქტიური წევ-რის ჯემალ ქიქავას სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა ქ. ბათუმის პროფკავშირთა კონფერენციაზე 1920 წლის 29 მარტს. მან თქვა: „აჭარის მშრომელები, თქვენ, ბატონო ბოლშევიკებო, არ გამოგყვე-ბიან. ეს ყველასათვის ცნობილია. ისინი თქვენ არ გამოგყვებიან, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ თქვენს შორის არ არის არც ერთი აჭარელი (ხმები ადგილიდან: „არის“). თუ თქვენს შორის არის ქარ-თველი მუსლიმანი, ის თურქეთიდან გამოქცეული ავანტურისტია, თურქია, პანისლამისტია, რომლებთანაც თქვენ, ბატონო ბოლშევი-კებო, დადეთ კავშირი და თურქეთის პანისლამისტებთან ერთად ცდილობთ დაღუპოთ ჩვენი ქვეყანა“ [2, 3]. ამის შემდეგ მეჯლისის წარმომადგენლები დემონსტრაციულად ტოვებენ პროფკავშირთა კონფერენციას და თავიანთი ბეჭდვითი ორგანოს გაზეთ „სამუსლი-მანო საქართველოს“ საშუალებით სასტიკად აკრიტიკებენ კონფე-რენციის ბოლშევიკურ გადაწყვეტილებას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ „ბოლშევიკებს სურთ დაუმორჩილონ ჩვენი ქვეყანა ლენინურ რუსეთს. ჩვენ ვაფ-რთხილებთ მათ, ჩვენ ვურჩევთ მათ უარი თქვან თავიანთ ავანტუ-რაზე. აქ რუსეთი არაა. თუ ლენინი ასე უყვართ, წავიდნენ იქ, მის სამშობლოში, და როგორც უნდათ, ისე დაშალონ რუსეთი“ [2, 4].

ბოლშევიკებს არ დავიწყებიათ მეჯლისის ბრძოლა მათ მიმართ და ცხადია არც შემთხვევითი ყოფილა საბჭოთა ხელისუფლები მიერ გატარებული რეპრესიები მეჯლისისა და მისი წევრების წინააღმდეგ. თუმცა მეჯლისი არც მენშევიკების მმართველობისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს ყოფილა პრივილეგირებულ მდგომარეობაში. მას, მიუხედავად მისი დამსახურებისა, მაინც ალმაცერად უყურებდნენ, არ ენდობოდნენ, დევნიდნენ, შენობაც კი არ გამოუყვეს. მათ მეჯლისი ესაჭიროებოდათ მხოლოდ თავიანთი ხელისუფლების განმტკიცებისათვის აჭარაში.

ასეთივე მიზნებს ისახავდნენ ბოლშევიკებიც, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღიდან დაშლილად არ გამოაცხადეს მეჯლისი, არამედ ნება დართეს შეკრებილიყვნენ და შედგომოდნენ მუშაობას. მას გამოუყვეს შენობა, საჭირო თანხა, მისი თავმჯდომარე მემედ აბაშიძე და ერთ-ერთი წევრი რეჯებ ნიჟარაძე – რეგიონის მკვიდრთაგან პირველი იურისტი შეიყვანეს ბათუმისა და მისი ოლქის რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში. რევკომმა დაუშვა სპეციალური ბრაძანება მეჯლისის წევრებისა და თანამშრომლების ქონების ხელშეუხებლობის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მესამე დღეს, როდესაც ბათუმის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა ბათუმისა და ბათუმის ოლქის რევკომი და რომლის შემადგენლობაში შეიყვანეს მემედ აბაშიძე. რევკომის თავმჯდომარე ბოლშევიკი სერგო ქავთარაძე მასთან საუბარში აღნიშნავდა მეჯლისის დიდ როლზე ეროვნულგანმათავისუფლებელ მოძრაობაში, მუსლიმან ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებაში და იმ ბრძოლაზე, რომელიც წარმოებდა მეჯლისსა, მენშევიკებსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მეჯლისის მოღვაწეობას რევკომი და პირადად თვითონ, მისი თავმჯდომარე მხარს დაუჭერდნენ. რევკომი და მისი წევრები – კომუნისტები არ მალავდნენ იმასაც, რომ მეჯლისი მათ ესაჭიროებოდათ მათი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის. მეჯლისი წინანდებურად ქართული ორიენტაციის აქტიური მებრძოლის როლში გამოდიოდა, აუცილებელი იყო მისი გამოყენება აჭარაში იმ ანტიქართული ატმოსფეროს შენელებისათვის, რაც პროთურქულ ორგანიზაციათა აგიტაციის შედეგად არასასურველ შედეგს ღებულობდა. ბოლშევიკებმა თურქოფილურ აგიტაციას დაუპირისპირეს ქართული

ორიენტაციის იდეა, რასაც მეჯლისი თავისი მოქმედების მთავარ პრინციპად აღიარებდა.

ამავე დროს მეჯლისი წინანდებურად მუსლიმანურ და ქრისტიანულ, სხვა კონფესიათა თანასწორუფლებიანობის იდეას აღიარებდა, ამ მიმართებით აჭარის სპეციფიკას უსვამდა ხაზს და მოითხოვდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადებას, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს სსრ მაშინდელ ე. წ. უკლონისტურ ხელმძღვანელობას არ მოსწონდა.

საქართველოს რევკომის თავჯდომარის ფ. მახარაძის 1921 წლის 20 მარტის მეჯლისის სახელზე გამოგზავნილი დეპეშის საპასუხოდ მემედ აბაშიძე 24 მარტს წერდა, რომ აჭარამ უნდა მოაწყოს თავის საკუთარი ცხოვრება თავისი ყოფის, რელიგიისა და სხვათა თავისებურების გათვალისწინებითო, რაც უფრო მეტად განამტკიცებს სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის მისწრაფებას – თქვენთან ერთად განახორციელოს თავისი ამოცანებიო. მეჯლისი, მისი თავმჯდომარე გამოთქვამდნენ რწმენას, რომ საქართველოს რევკომი, საბჭოთა ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარდნენ, რათა ცხოვრებაში განხორციელებულიყო საქართველოს რევკომის დეკლარაცია იმის შესახებ, რომ აჭარა მიიღებს მთლიან შესაძლებლობას მოაწყოს თავისი ცხოვრება დამოუკიდებლად, თავისი ყოფის თავისებურებათა გათვალისწინებით, მეჯლისის მოსაზრებათა სრული შესაბამისობით მშრომელთა და სამუსლიმანო საქართველოს მთელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

საქართველოს რევკომის მისალმებაში მეჯლისისადმი მითითებული იყო, რომ მხოლოდ აჭარის მუშები და გლეხები მიიღებდნენ შესაძლებლობას მოაწყონ თავიანთი ცხოვრება თავისი ყოფის თავისებურებათა შესაბამისობით, მეჯლისი კი თავის საპასუხო დეპეშაში აღნიშნავდა, რომ დასახელებული პრინციპების განხორციელება უნდა მომხდარიყო არა მხოლოდ მუშებისა და გლეხების, არამედ მთელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

როგორც ჩანს, ერთის მხრივ, კომუნისტებისა და საბჭოთა ხელისუფლების და მეორეს მხრივ, მეჯლისის ინტერესები საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღიდანვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საქართველოს გაერთიანებისა და აჭარის ავტონომიის იდეა, რომლის ცხოვრებაში განხორციელებისათვის მეჯლისმა და მისმა თავმჯდომარემ მემედ აბაშიძემ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით იღვაწეს, მეჯლისი არ წავიდა

იმაზე, რომ საზოგადოება არ გაყოფილიყო „წითლებად“ და „თეთრებად“, არ დაუპირისპირა ერთმანეთს. კლასები და ფენები, არ დათანხმდა იმას, რომ გაენადგურებინათ; მოსახლეობის შეძლებული ფენები, მოეწყოთ რეპრესიები, გაეჩაღებინათ სამოქალაქო ომი, ამით იგი, ფაქტობრივად დაუპირისპირდა კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას, რომლებმაც, არც დააყოვნეს ადმინისტრაციული წესით გაეუქმებინათ. იგი და მისი წევრების მიმართ, პირადად მისი თავმჯდომარის მ. აბაშიძის მიმართ გაეტარებინათ უსასტიკესი რეპრესიები.

მეჯლისსა და მის წევრებს, პირადად მემედ აბაშიძეს, კარგად ჰქონდათ რა შეგნებული საზოგადოების ერთ ნაწილის მოახლოებული უბედურება, რასაც მოიტანდა იმ დროისათვის მუშურ-გლეხური ავტონომია, გადაწყვიტეს წასულიყვნენ ბოლო ცდაზე – აჭარის ავტონომიის დებულების შემუშავებისათვის საქართველოს კომპარტიისა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელობასთნ ეწარმოებინათ მოლაპარაკება. ამ მიზნით, 1921 წლის აპრილის მეორე ნახევრის დასაწყისში მეჯლისის თავმჯდომერემ მემედ აბაშიძემ გამოსცა ბრძანება მეჯლისის არჩევნების შესახებ. ბრძანებაში განმარტებულია მეჯლისის არჩევნების მიზეზები. კერძოდ, აღნიშნულია, რომ მეჯლისის არჩევნები ტარდება ახალი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით, საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მომართვასთან აჭარის მეჯლისისა და რევკომის სახელზე, პირადად მის მიმრთვასთან აჭარის მოსახლეობისდმი აჭარისათვის ავტონომიის მიცემის თაობაზე. ბრძანებაში ნათქვამია, რომ მეჯლისი აჭარისათვის ავტონომიის საკითხს თვლის პრინციპულად გადაწყვეტილად, მაგრამ მიაჩნია საჭიროდ ახალი მეჯლისის არჩევა მოხდეს საყოველთაო საარჩევნო უფლებების საფუძველზე, რაც დაედება საფუძვლად ავტონომიური მშენებლობის დაწყებას აჭარაშიო. მეჯლისის მიერ არჩეულ კომისიას ევალებოდა რევკომის წარმომადგენელთან ერთად შედგომოდა მეჯლისის არჩევნებს. მეჯლისის თამჯდომარის აღნიშნული ბრძანება, ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ხელისუფლების იმდროინდელ საარჩევნო სისტემას, საბჭოთა ავტონომიის პრინციპებსა და უფლებებს. ამიტომ. მეჯლისის დელეგაციის მოლაპარაკება საქართველოს კომპარტიის „უკლონისტური“ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხელმძღვანელობასთან, რომელიც არაგულწრფელი, დამცინავი, აგდებული და მოტყუებითი ტონით წარმართავდა შეხვედრებს, დიდხანს

გაგრძელებულა და ორკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ უშედეგოდ დამთავრებულა, მეჯლისის დელეგაციას რამაზანის დადგომასთან დაკავშირებით, დროებით შეუწყვეტია მოლაპარაკება და ბათუმში დაბრუნებულა. მათ აქ შეუტყვიათ, რომ ბათუმში არყოფნის დროს მეჯლისი დაუთხოვიათ. საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისულების ხელმძღვანელობას კი არც კი ჩაუთვლია მიზანშეწონილად ეცნობებინათ ამის შესახებ მეჯლისის დელეგაციისათვის.

მიუხედავად ამისა, მეჯლისის ხელმძღვანელობა, როგორც საქართველოს ერთიანობის მომხრეები, არ დადგომია სეპარატიზმის გზას, ისინი არ გავიდნენ პოლოტიკური არენიდან, საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას არწმუნებდნენ კიდეც, რომ ახალი მეჯლისი, რომელიც 1921 წლის 6 ივნისს შექმნილა, ძალზე შემჭიდროვებულ ვადებში, საშიშროებას შეუქმნიდა არა მარტო საქართველოს ერთიანობას, არამედ სოციალურ პოლიტიკასაც, მაგრამ რევოლუციამდელ, ბრძოლებში გამოწრთობილი მეჯლისის პროგრესული ხელმძღვანელობისთვის არ მოუსმენიათ და ყოველივე ეს ძვირადაც დაჯდომიათ. ღრმად შეცდნენ ბოლშევიკები, როდესაც ნაჩქარევად დაასკვნეს, თითქოს ახლად შექმნილი მეჯლისი „განამტკიცებს აჭარის მშრომელთა ძმურ, მჭიდრო კავშირს საქართველოს მუშებთან და გლეხებთან“ [3, 2]. არც ახალი მეჯლისის სახელზე მოსული საქართველოს რევკომის ტელეგრამა იყო გულწრფელი, რომელშიც აღნიშნული იყო, თითქოს საქართველოში დამკვიდრებული საბჭოთა წყობილება ნიშნავდა „ყოველგვარი ექსპლოატაციისა და ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობას“ [3, 2]. საქართველოს რევკომმა მოუწოდა აჭარის ახალ მეჯლისს „მტკიცედ იდგეს საბჭოთა ხელისუფლების საწყისებზე და ცხოვრებაში გაატაროს მისი წინასწარდასახულობა“, რომ თითქოს „მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება აჭარაში სასურველი მშვიდობის აღდგენა და მოსახლეობის გადარჩენა განადგურებისაგან, სიღარიბისა და შიმშილისაგან“, რომ თითქოს „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება – თვით მშრომრლთა ხელისუფლება – იქნება ხალხის ბედნიერების გარანტია“ [3, 3].

რა თქმა უნდა, ახალი, თითქოსდა საბჭოთა მეჯლისი, საქართველოს რევკომის აღნიშნულ ტელეგრამას არ ღებულობს სერიოზულ დოკუმენტად. მეჯლისი არ დგება საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის პლატფორმაზე, არ ღებულობს კომუნისტების იდეას საზოგადოების კლასებად დაყოფისა და კლასთა ბრძოლის შესახებ, რომელსაც კოლოსალური მსხვერპლი მოჰქონდა რევოლუციის

შემდგომ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და რომელიც მთელი კლასების ფიზიკური განადგურების საშიშროებას ქმნიდა. მეჯლისი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გამოდის იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელსაც კომუნისტები და კომკავშირლები ატარებდნენ. ის ერთსახოვნად ეწინააღმდეგება ბეგების, აღებისა და სხვა შეძლებული ფენების წინააღმდეგ რეპრესიებს, აგრეთვე მოსალოდნელ რეპრესიებს მუსლიმანური სარწმუნოების მესვეურთა წინააღმდეგ. იგი სამოქალაქო ომის ნაცვლად სამოქალაქო მშვიდობის პოლიტიკას უწევს პროპოაგანდას.

მეჯლისს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს აჭარაში, არ სურს გახდეს კომპარტიის სათამაშო თოჯინა, უფრო მეტიც, ის ცდილობს დაიმორჩილოს რევკომი, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, საბჭოთა ორგანიზაციები და მიაღწიოს მეჯლისის ერთხელისუფლებიანობას. მან მოამზადა ბრძანების პროექტი აჭარისათვის ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭების შესახებ, სადაც ნათქვამია: „1. მეჯლისი, როგორც ხელისუფლების სრულუფლებიანი ორგანო, არჩეული აჭარის მშრომელთა მიერ, გამოხატავს ამ უკანასკნელის სურვილს შევიდეს საქართველოს სსრ შემადგენლობაში, როგორც მისი ნაწილი, ფართო ავტონომიის საფუძველზე., რომლის საბჭოთა მმართველობა ორგანიზებული უნდა იქნას შემდეგ ფორმებში...“ და ჩამოთვლილი იყო ყველა კომისარიატი, რომლებშიც უნდა შექმნილიყო, სამხედრო, საგარეო ვაჭრობის და ა. შ. ჩათვლით. 2. აჭარის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე მთელი ხელისუფლება რჩება მეჯლისს“ [4, 2].

იმასთან დაკავშირებით, რომ აჭარას ავტონომია ეძლეოდა პირველ რიგში კონფესიის საფუძველზე, მეჯლისი თავის პრიექტში აჭარის ავტონომიური უფლებების შესახებ ითხოვდა აჭარისათვის მეზობელი, მუსლიმანური მოასახლეობით დასახლებული ახალციხის რაიონის – საქართველოს ფარგლებში დარჩენილი მესხეთის ნაწილის მიერთებას.

აჭარის ავტონომიური უფლებების შესახებ მეჯლისის პროექტის მომზადებაში საქ. კპ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტს, ბათუმის ოლქის რევკომს, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. მეჯლისი არაერთხელ მოაგონებდა მათ, რომ აჭარაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მას და ამის შესახებ სანქციას თხოვდა საქართველოს რევკომს.

ასე, აჭარაში ახალი, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შე-

იქმნა ორხელისუფლებიანობა. ერთის მხრივ, ხელისუფლება ეკუთვნოდა ბათუმის ოლქის რევკომს, რომელიც მუშებისა და გლეხების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ იყო გამოცხადებული და ახორციელებდა პროლეტარიატის დიქტატურას, მეორე მხრივ – მეჯლისს, რომელიც აცხადებდა, რომ იცავს აჭარის მთელ მოსახლეობას, მათ შორის ბეგების, აღებისა და სამღვდელოების ინტერესებს.

აჭარის ფართო ავტონომიური უფლებების მეჯლისის დასახელებული პროექტის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, მისი წარდგენისათვის საქართველოს რევკომში მეჯლისმა შექმნა დელეგაცია თავისი თავმჯდომარის – ცნობილი საზოგადო მოღვაწის, აჭარაში ერთ-ერთი პირველი იურისტის ხასან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც თბილისში საქართველოს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების საფუძველზე ნაწილობრივი შესწორებით მიაღწია თავისი პროექტის დამტკიცებას. ამ მხრივ მან დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ი. ბ. სტალინისაგან, რომელიც 1921 წლის ივლისის დასაწყისში სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისათვის, რა თქმა უნდა, მათ შორის აჭარისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ, აგრეთვე რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელის გ. კ. ორჯონიკიძისაგან. მეჯლისს უარი ეთქვა აჭარისათვის ახალციხის რაიონის მიერთების მოთხოვნაზე, ერთიანი მუსლიმანური ავტონომიის შექმნაზე, აგრეთვე იმაზე, რომ მეჯლისს დაემორჩილებოდა პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები.

მთავარი მაინც ის იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველოს ხელმძღვანელობამ აჭარაში ახალი, საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცნო მეჯლისი. ამავე დროს არ გაუქმებულა ბათუმის ოლქის რევკომი, რომელიც ახორციელებდა უმაღლეს ხელისუფლებას აჭარაში, რაც ნიშნავდა იმას, რომ მეჯლისის წინააღმდეგ ნელი მოქმედების ნაღმი ჩაიდო. წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნისტური, მით უმეტეს, ე. წ. საქართველოს კპ (ბ) ცკ „ნაციონალ უკლონისტური“ ხელმძღვანელობა, რევკომის თავმჯდომარე ბუდუ მდივანი არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა იმაზე, რომ 1921 წლის 16 ივლისს მიღებული ყოფილიყო საქართველოს რევკომის დეკრეტი № 54 აჭარის ავტონომიის შესახებ, რომლის საფუძველზე აჭარაში მთელი ხელისუფლება გადაეცა მეჯლისს. დეკრეტში ნათქვამია: „აჭარის ასსრ მმართველობის ორგანოებია: მეჯლისი, სახკომსაბჭო და ადგილობრივი საბჭოები, არჩეული

საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე. შენიშვნა: მე-4 პუნქტში დასახელებული კომისარიატების სახალხო კომისრები ინიშნებიან საქართველოს შესაბამისი კომისარიატების მიერ აჭარის რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან შეთანხმებით და მტკიცდებიან აჭარის მეჯლისის მიერ“ [5, 32]. დეკრეტში მითითებული იყო, რომ აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები თავიანთ მოქმედებაში ავტონომიურებია და პასუხისმგებელი არიან საქართველოს უმაღლესი ორგანოების წინაშე აჭარის მეჯლისის მეშვეობით. დეკრეტში ხაზგასმული იყო, რომ „აჭარის ასსრ საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევამდე მთელი ხელისუფლება აჭარის ასსრ-ში ამ დეკრეტში მითითებულ საზღვრებში ეკუთვნის აჭარის მეჯლისს“.

ნათლად სჩანს, რომ ამ დეკრეტით აჭარაში მთელი ხელისუფლება გადაეცა მეჯლისს. ამავე დროს, დეკრეტით ბათუმის ოლქის ხელისუფლების საგანგებო ორგანო – რევკომი არ გაუქმებულა, თუმც ის დეკრეტში ნახსენებიც არ არის, ლაპარაკია ჯერ არ არსებულ სახკომსაბჭოზე, რომელიც უნდა შექმნილიყო აჭარაში საბჭოების არჩევნების ჩატარების შემდეგ.

როგორ უყურებდნენ და აფასებდნენ საქართველოს კომუნისტები აჭარის მეჯლისს და დეკრეტს აჭარის ავტონიმიის შესახებ, რომელმაც მეჯლისს განუმტკიცა ხელისუფლება, ჩანს ბათუმის ოლქის რევკომის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, კომუნისტ კ. საჯაიას ნათქვამიდან. ის წერს: „ამ დეკრეტით ჩვენ აბსოლიტურად ვკარგავდით აჭარას, სადაც მდგომარეობის ბატონ-პატრონი უნდა გამხდარიყვნენ ქემალისტები. მეორე მხრივ, ეს სახელგანთქმული მეჯლისი ბათუმის ბატონ-პატრონი და ბათუმის პროლეტარიატის ხელმძღვანელი ხდებოდა [6, 1].

ეს იყო მეჯლისის არა მარტო არასწორი, სუბიექტური შეფასება, არამედ ისიც, რომ იგი იმყოფებოდა დიქტატის ქვეშ. მეჯლისის მთელი შემადგენლობის გამოცხადება ქემალისტებად, არ იყო სწორი. ისინი შერჩეული იყვნენ თვით აჭარის რევკომისა და საქ. კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ. საქმე იმაში იყო, რომ მეჯლისი შედგებოდა მხოლოდ აჭარლებისგან, რომლებიც, როგორც მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები, ბევრი ქართველი კომუნისტი – ხელმძღვანელის აზრითაც ითვლებოდნენ თურქებად, თათრებად, და ბუნებრივია, თურქული ორიენტაციის გამტა-

რებლად. გამომდინარე აქედან, როგორც წესი, თბილისი მათ მიმართ გაათკეცებულ სიფრთხილესა და სიფხიზლეს იჩენდა. ამის შესახებ რუსეთის კომპარტიის XII ყრილობაზე 1923 წელს საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთმა მაღალმა რანგის ხელმძღვანელმა, საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა, საჯაროდ განაცხადა და ი. ბ. სტალინის მითითებით ხელი მოაწერა დეკრეტს აჭარის ავტონომიის შესახებ. ამიტომ, საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთ ცნობილ ხელმძღვანელს კ. საჯაიას დაუშვებლად მიაჩნდა მეჯლისის, ე.ი. აჭრლების უფროსობა ბათუმში. ბათუმის პროლეტარიატს შორის და საერთოდ ბათუმში აჭარლები ძალზე ცოტანი იყვნენ. რა თქმა უნდა, ასევე ცოტა იყვნენ ისინი საქართველოს კომპარტიის აჭარის ორგანიზაციის შემადგენლობაში. ასეთი პოლიტიკა ნებსით თუ უნებლიეთ თიშავდა ერს ორ ნაწილად, აშორიშორებდა ქართველ მუსლიმანს ქართველი ქრისტიანისაგან.

აჭარის მეჯლისი ეყრდნობოდა აჭარის მკვიდრ მოსახლეობას, – აჭარლებს, ატარებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობდა აჭარის ცხოვრებიდან, მისი სპეციფიკური თავისებურებებიდან. ეს პოლიტიკა კი საქართველოს კომპარტიისა და მისი აჭარის ორგანიზაციის მიერ შეფასდა როგორც სეპარატისტული, როგორც აჭარის იზოლაცია ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების იდეისაგან. მაგრამ არ შეიძლება მხედველობაში არ მიღებულიყო ის, რომ ანტისაბჭოთა ძალები იყენებდნენ აჭარაში შექმნილ მდგომარეობას, მეჯლისის ძალაუფლებას, გააქტიურდნენ, აძლიერებდნენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის წინააღმდეგ, განუმარტავდნენ მასებს, რომ ბოლშევიზმი და რელიგია შეუთავსებელიაო, კომუნისტები საბოლოოდ მოსპობენ მუსლიმანთა სალოცავებს, აჭარელთა ყოფას და ა. შ. [7, 3].

კომუნისტები, კომკავშირელები, რევკომები თავის მხრივ იწყებენ გაძლიერებულ აგიტაციას ანტისაბჭოთა ძალებისა და მეჯლისის წინააღმდეგ, დისკრედიტაციას უწევენ მის ხელმძღვანელობას, საზღვარგარეთის ქვეყნების ჯაშუშად აცხადებენ მათ. ახალი მეჯლისის არჩევიდან ორი თვეც კი არ იყო გასული, რომ ბათუმის ოლქის ჩეკას, (ჯაშუშების, დივერსანტებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისია) თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1921 წლის 3 აგვისტოს ავრცელებს ყალბ ცნობას „თითქოს მეჯლისი შესდგება მთლიანად ქემალისტებისაგან, მათი უმრავლესობა

მდიდარი ბეგებია. მეჯლისის ერთ-ერთი ცნობილი წევრი ბექირ აბუსერიძე – თურქეთ-გერმანიის ყოფილი ჯაშუშია“ [6, 4]. სინამდვილეს არ შეეფერებოდა აგრეთვე კომუნისტთა მტკიცება, თითქოს მათ მიერ არჩეული მეჯლისი ისწრაფვოდა საქართველოსაგან მოეწყვიტა აჭარა.

ასეთი პროპაგანდის გარდა, რომლითაც შეუძლებელი იყო მეჯლისის ავტორიტეტის შერყევა აჭარელთა შორის ისე. რომ მიღწეული ყოფილიყი მისი დათხოვა, საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აჭარის სოფელში კლასთა ბრძოლის გამწვავება. ამ მიზნით დაიწყო აჭარის ღარიბ გლეხთა ორგანიზება დამოუკიდებელ ძალად და ამით მათი განთავისუფლება ბეგებისა და აღების გავლენისაგან, ამრიგად, აჭარის სოფლებში 1921 წლის აგვისტოს დასაწყისში დაიწყო ღარიბთა კომიტეტის შექმნა.

ღარიბთა კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა ღარიბი და საშუალო გლეხობა მოეწყვიტა ბეგების, აღების, კულაკების, თვით მეჯლისის გავლენისაგან და მათი ურთიერთდაპირისპირების ნიადაგზე გაეჩაღებინათ სოფლად კლასთა ბრძოლა, მეჯლისისათვის გამოეცალათ სოციალური დასაყრდენი, გაეუქმებინათ ბეგური რევკომები, ბეგების, აღების და სხვა შეძლებული კლასების ლიკვიდაციით დაშლილად გამოეცხადებიათ მეჯლისი.

თუ რუსეთში ღარიბთა კომიტეტი იქმნებოდა სოფლის საბჭოებთან პარალელურად და ისინი მათთან ერთად მოქმედებდნენ, აჭარის სოფელში ღარიბთა კომიტეტები, საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ გამოდიოდნენ, ვინაიდან სოფლის რევკომების უმრავლესობა მეჯლისს ემორჩილებოდა, საბჭოები კი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. რევკომის სათავეში ბეგების, აღებისა და სხვა შეძლებული პირების მოხვედრა შემთხვევითი არ იყო. გლეხთა აბსოლიტური უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

ღარიბთა კომიტეტის შექმნა და მათი დაპირისპირება ბეგური რევკომებისადმი, მათი უმაღლესი ორგანოს – მეჯლისისადმი, კომუნისტებისათვის ყველაზე უფრო მომგებიანი დარჩა, ვინაიდან ფაქტობრივად ძალაუფლება წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანების ხელში აღმოჩნდა და ისინი ისე წარმართავდნენ მას, როგორც სურდათ. შედეგმაც არ დააყოვნა. ღარიბთა კომიტეტების შექმნიდან სულ ცოტა დრო გავიდა და ნათლად გამოიკვეთა, რომ მეჯლისის ძალა სუსტდებოდა, მისი ავტორიტეტი ირყეოდა, მას სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეცლებოდა ხელიდან. იქმნებოდა გარკვეუ-

ლი უნდობლობა მეჯლისისადმი. უფრო მეტიც, ღარიბ გლეხთა გამოსვლებმა ბეგების, აღებისა და სოფლის მოსახლეობის სხვა შეძლებული ფენების წინააღმდეგ მეჯლისი ღრმად ჩააფიქრა, ვინაიდან სოფელი სამოქალაქო ომის ალში ეხვეოდა და ეს, პირველ რიგში მის წინააღმდეგ იყო მიმართული. საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ: „თუ ადრე ბეგი ლაპარაკობდა ხალხის სახელით, ხოლო დაბრმავებული და დაბეჩავებული ღარიბი გლეხობა ეთანხმებოდა მას, ახლა ის პოლიტიკური თვითშეგნებით შეიარაღებული, ბეგებს არ ალაპარაკებდა. ის თვითონ ალაპარაკდა, თვითონ განაცხადა ხმამაღლა თვისი გაჭირვებისა და მოთხოვნების შესახებ და პირველ რიგში გამოვიდა იმავე ბეგების წინააღმდეგ“ [6, 11]. ბუნებრივია, როგორც აღინიშნა, ეს იყო კომუნისტების მუშაობის შედეგი და არა თვითონ ღარიბ გლეხთა დამოუკიდებელი მოქმედება. კომუნისტები თავიანთ ანგარიშში ღარიბ და, მით უმეტეს, საშუალო გლეხთა მოქმედებასა და აქტიურობას ბეგების, აღებისა და სხვათა წინააღმდეგ აზვიადებდნენ, აძლევდნენ არასწორ ინფორმაციებსა და ცნობებს. ის, რომ თითქოს ხულოს გლეხობამ 1921 წ. 18 აგვისტოს მიტინგზე მიიღო დადგენილება შუამდგომლობით მიემართა საქართველოს მთავრობისადმი მეჯლისის დათხოვნის შესახებ, კომუნისტების მიერ იყო მოწყობილი. არ იყო სწორი აგრეთვე საქართელოს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლის ფ. მახარაძის განცხადება, თითქოს აჭარის ღარიბთა კომიტეტების ხელმძღვანელები „გადარჩენის ერათდერთ საშუალებას კომუნიზმის განხორციელებაში ხედავენ“ [7, 4].

შექმნეს რა ღარიბთა კომიტეტები აჭარის ყველა მაზრაში, თემსა და სოფელში, კომუნისტები თვითონ ჩაუდგნენ სათავეში და თავიანთი სურვილისა და შეხედულების მიხედვით ამოქმედებდნენ მათ. ისინი თანდათანობით გადაიქცნენ იმ ძალად, რომელთა საშუალებით კომუნისტები ახორციელებდნენ თავიანთ მიზნებს. მეჯლისს, რომელსაც კომუნისტების ინიციატივით ეწოდა „შავი მეჯლისი“, ღარიბთა კომიტეტების სახით სოფლად საწინააღმდეგო ხელისუფლება გაუჩნდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი, სამაზრო ღარიბთა კომიტეტების ხელმძღვანელად აგზავნის მის წევრებს, ბათუმში კი ქმნის აჭარის ღარიბთა კომიტეტების ცენტრალურ კომიტეტს 15 კაცის შემადგენლობით და მას აჭარის მეჯლისს უპირისპირებს.

მეჯლისი იძულებული გახდა უკან დაეხია, კომპრომისზე წასულიყო, თუმცა ეძებდა აგრეთვე მანევრების საშუალებას. ამ მიზნით, ის თანხმდება წავიდეს მოლაპარაკებაზე რევკომმთან და ღარიბთა კომიტეტების ცენტრალურ კომიტეტთან. 1921 წლის 31 აგვისტოს მეჯლისის, რევკომისა და ღარიბთა კომიტეტების ცკ-ის წარმომადგენლები ხელს აწერენ შეთანხმებას, რის საფუძველზეც აჭარაში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა აჭარის რევკომი, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას მეჯლისი არ ემორჩილება და განაგრძობს ბრძოლას თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად. მდგომარეობა სასტიკად იძაბება. საქმეში ერევა რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, პირადად მისი ხელმძღვანელი გ. კ. ორჯონიკიძე და 1921 წლის 8 სექტემბერს საქართველოს რევკომი აქვეყნებს აჭარის ასსრ შექმნის დეკრეტის დამატებით დოკუმენტს – დადგენილებას, რომელშიც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა აჭარის რევოლუციური კომიტეტი. დადგენილებაში არაფერი იყო ნათქვამი მეჯლისზე, მის როლსა და ფუნქციებზე, ან მისი გაუქმების თაობაზე. კომუნისტები წინასწარ მოფიქრებულ შენიღბულ მანევრირებაზე მიდიან და ამ მიზნით 1921 წლის 9 სექტემბერს ქმნიან აჭარის რევკომის პრეზიდიუმს 5 კაცის შემადგენლობით, რომელშიც სამი წარმომადგენელი შეიყვანეს რევკომიდან (კომუნისტები), თითო მეჯლისიდან (მისი თავმჯდომარე) და ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური კომიტეტიდან. რევკომის თავმჯდომარედ ფორმალურად დაინიშნა მეჯლისის თავმჯდომარე ხასან ლორთქიფანიძე. კომუნისტებმა მთელი ძალაუფლება თავიანთ ხელში აიღეს და მეჯლისის რიგებში განხეთქილება ჩააგდეს, მაგრამ ისინი, პოლიტიკური მოსაზრების გამო, მეჯლისის დათხოვას არ ჩქარობდნენ. მისი დათხოვა უნდა მომხდარიყო აჭარის საბჭოების პირველ ყრილობაზე. მაგრამ, ვინაიდან საბჭოების არჩევნებისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული, რასაც გარკვეული დრო, ნახევარი წელი მაინც სჭირდებოდა, კომუნისტებმა გადაწყვიტეს მალე მოეშორებიათ მეჯლისი. ამ მიზნით გადაწყვიტეს ღარიბთა კომიტეტის პირველი ყრილობის ჩატარება და მისი საშუალებით მეჯლისის გაუქმება. ყრილობა, რომლის მუშაობას ტონს აძლევდნენ კომუნისტები, მოწვეული იყო 1921 წლის 7 ნოემბერს და გრძელდებოდა 6 დღეს – 12 ნოემბრის ჩათვლით.

ღარიბთა კომიტეტების ყრილობამ, მიუხედავად იმისა, რომ

მეჯლისის გაუქმების უფლება მას არ ჰქონდა, კომუნისტების წინადადებითა და დაჟინებული მოთხოვნის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება ე. წ. „შავი მეჯლისის“ დათხოვის შესახებ. ყრილობაზე აირჩიეს ღარიბთა კომიტეტების ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ყრილობის სპეციალური გადაწყვეტილებით ეწოდა „წითელი მეჯლისი“ – კომუნისტების ჯიბის პარლამენტი. „წითელი მეჯლისის“ შემადგენლობაში შეიყვანეს კომუნისტები და უპარტიო ღარიბი გლეხობის წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია რევკომის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ 5 „წითელი მეჯლისის“ წევრი და 4 საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის შემადგენლობიდან. ყრილობამ, რა თქმა უნდა, კომუნისტების მითითებით „განსაზღვრა“ „წითელი მეჯლისის“ ფუნქციაც: აჭარის გლეხთა მასების რევოლუციონიზირება და მათი გაერთიანება საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ“ [7].

1921 წლის დეკემბერში აჭარაში ჩატარდა საბჭოების არჩევნები. 1922 წლის 10 იანვარს ბათუმში მოიწვიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობა, ყრილობაზე აჭარის რევოლუციურმა კომიტეტმა – საბჭოთა ხელისუფლების საგანგებო ორგანომ – მოიხსნა თავისი უფლებამოსილება. ყრილობამ ირჩია აჭარის საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების ახალი, არჩევითი ორგანო–ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი, რომლის პირველ სხდომაზე 1922 წლის 15 იანვარს შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო. ყრილობაზე თავისი ფორმალური უფლებამოსილება მოიხსნა აგრეთვე ე. წ. „წითელმა მეჯლისმა“, მაგრამ მისი შემადგენლობა არ დაუთხოვიათ, „წითელ მეჯლისს“ სახელი შეუცვალა ყრილობამ და უწოდა ღარიბთა კომიტეტის ცენტრალური ბიურო. 1923 წელს, როდესაც ღარიბთა კომიტეტები შეუერთეს საბჭოებს, ლიკვიდირებული იქნა მათი ხელმძღვანელი ორგანიც – ცენტრალური ბიურო.

ასე შეიქმნა აჭარაში კომუნისტების ერთხელისუფლებიანობა და დიქტატურა, რომელსაც, ბუნებრივია, არ მოუტანია მშვიდობა და სიმშვიდე. არც შემდგომი წლები გამოირჩეოდნენ სიმშვიდით. 20-იან წლებში დაწყებულმა რეპრესიებმა იმსხვერპლეს მეჯლისების მთელი შემადგენლობა, არც რევკომისა და ღარიბთა კომიტეტების ყოფილ წევრებს დადგომიათ კარგი დღე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მემედ აბაშიძე, კრებული, ბათუმი, 1993.
2. გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, № 328, 1920.
3. გაზეთი „იზვესტია“, №34, 1921, 6 ივლისი.
4. გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, № 109, 1921.
5. პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წიგნი II, ბათუმი, 1960.
6. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, პარტიული ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 40.
7. გაზეთი „Правда Грузии“, № 278, 1921, 3 თებერვალი.

Otar Gogolishvili
Professor of the Batumi Shota Rustaveli State Universiry

Fight for the Formation of Government bodies in Adjara in 1921

Summary

The history of majlises of Adjaria, activity area, programmes, in spite of many works published in recent years, is not studied properly. The first majlis (parliament) of adjaria, which was created in the period of foreign intervention, August 31, in 1919, entirely shared the programe of struggle for freedom of georgian muslims' preceding organization „Mussliman Georgians liberation committee“ (May 15, in 1918). It is known that it became a leader of national-liberation movement and firmly and successively was struggling for the unity of Georgia and consolidation of statehood